ცნობის ფურცელი

№ 2260 ოთხშაბათი, 10 სექტემბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2260

ხელისმოწერის ფასი: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელისმოწერა და დაბეჭდვა განცხადებისა მიიღება: „მოამბე"—„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში [illegible] ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირადად მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, [illegible] 11—2-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

2 მან. და 60 კ. ღირს ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი"

კვირაში ორის სურათებიანის დამატებით 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე

კბილის ექიმმა

ალ. სოლოლაშვილმა

განაახლა ავადმყოფების მიღება. მიხეილის ქუჩა, № 32 (10—4)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. ბიდზიანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

ბ. მიმინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ნ. ტ. ბულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10

ა. ზ. მაღალაშვილი. ბავშ. და შინაგ. 10—11 საათ.

დ. ა. ბიდზიანიშვილი.—შინაგანი, ნერვების და წამლობა ელექტრონით 11—1 ს.

ზრ. ზ. ხოზოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

გ. გ. მანსვეტოვი—10 ს.—12 საათ. კვირაობით შინაგანი, ნერვების და ბავშვების ავადმყოფობანი.

ი. პ. ახალშენიშვილი.—კბილისა, 10 ს.—11 ს.

ექ. ქალი მ. ქ. იოსელიანი—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1.

გ. გ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვების და ბავშვების, 10—12.

საღამოთი:

ა. ზ. მაღალაშვილი. შინაგ., ბავშ., [illegible] და მიკროსკოპიური გამოკვლევანი 5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს თავისი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები—სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკაიას ქუჩა, სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274.

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2-მდე საღამ·საღამობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამობით 5—7-მდე. (წლ.)

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

საზღვარ-გარედ

ინგლისი. რუსულ გაზ. „ნოვოსტი"-ს 2 სექტემბერს შემდეგი დეპეშა მოსვლია ლონდონიდან:

„ჩემბერლენი კაი გუნებაზე არ უნდა იყოს. ბირმინჰამიდან რომ წამოსულა, ვაგზალზე ხალხი დემონსტრატიულად გაჩუმებულა. ასევე მოხდა ლონდონშიაც, როცა ჩემბერლენი სამინისტროში მიდიოდა, კალატოზებმა სამინისტროს ახლო შენობაზე მუშაობა შეაყენეს და ჰყვიროდნენ: „ძირს ჩემბერლენიო!" მინისტრი გაფითრდა, მაგრამ ხმა არ გასცა მუშებს."

აქ ჰფიქრობენ, რომ მინისტრების საბჭოში ბალფური გაიმარჯვებსო; ჩემბერლენის სატამოჟნო პროექტი დაიმარხებაო.

ეს დეპეშა ჩემბერლენის სამსახურიდან გადადგომის წინაა დაწერილი.

◆ ლეიხტერში ტრედ-უნიონების კონგრესს ჩემბერლენის სატამოჟნო პროექტზე ჰქონდა ლაპარაკი. კონგრესის თავმჯდომარემ მორნიჯმა ჩემბერლენის სატამოჟნო პოლიტიკა გაარჩია და სთქვა: „ეს პოლიტიკა ინგლისის ერის არსებით ინტერესებს დიდ ზარალს მოუტანსო. ამბობენ, ვითომ ბაჟების დაწესება იმისთვის იყოს საჭირო, რომ მოხუცებულ მუშებს პენსიები დაენიშნოსო. ინგლისის ერმა 250 მილიონი გირვ. სტ. გაფლანგა სამხრეთ-აფრიკის ომზე და ეხლა განა ფულს ვერ იშოვის, რომ პენსია დაუნიშნოს იმათ, ვინც დიდებულ სამეწველოთ ომში იბრძვიანო?" ყველა ორატორმა რიგ-რიგისათ დაჰგმეს ჩემბერლენის პროექტი. ნავთ-სადგურის მუშათა ტრედ-უნიონის წევრმა სექეტონმა სთქვა: „თუ ჩემბერლენის პროექტი დამტკიცდა, ინგლისში რევოლიუცია მოხდებაო. ინგლისის ერმა თავი მსხვილ საკუთრების საოცარ გაძლიერებისაგან უნდა დაიხსნას და არა უცხოელებისაგანაო." კონგრესმა თითქმის ერთხმად, 409 ხმის უმეტესობით 2 წინაალმდეგ, დაადგინა, ყველა მუშას ვურჩიოთ, ჩემბერლენის საფინანსო პოლიტიკას მედგარი წინააღმდეგობა გაუწიონ, რადგან ეს პოლიტიკა დიდად საშიშია ინგლისის ერისათვისო.

ამის შემდეგ კონგრესმა დაადგინა, ეს რეზოლიუცია დაუყოვნებლივ კოლონიების მინისტრს გავუგზავნოთ დეპეშითაო.

როგორც ვიცით, კონგრესმა დიდის ხმის უმეტესობით დაადგინა აგრეთვე, ამას იქით მუშა ხალხმა საკუთარი დეპუტატები უნდა აირჩიოს პალატაშიო.

მეორე დღეს, ოთხშაბათს, კონგრესს ტრედ-უნიონების იურიდიულ ყოფასა და რვა საათის სამუშაო დღეზე ჰქონდა მსჯელობა.

მკითხველს ეხსომება, რომ ორის წლის წინად ლორდთა პალატამ ტაფ ველის რკინის გზის საქმეზე დაადგინა, თუ ტრედ-უნიონის წევრი დააშავებს რასმეს, პასუხის გება ტრედ-უნიონს უნდა მოეთხოვოსო. ამ დადგენილებამ დიდი ზარალი მისცა ტრედ-უნიონებს. მას აქეთ, სასამართლოებმა სხვა-და-სხვა უბრალო საქმეზე ტრედ-უნიონებს დიდი ჯარიმები გადაახდევინეს კაპიტალისტების სასარგებლოდ. ამიტომ ტრედ-უნიონები მედგრად ცდილობენ, რომ ეს დადგენილება გაუქმდეს. ამ საქმეზე კონგრესმა 284 ხმის უმეტესობით 5 წინააღმდეგ შემდეგი რეზოლიუცია მიიღო: „ტრედ-უნიონების კასისათვის დიდად საშიშია პასუხის გების მოთხოვნა; რადგან კაპიტალისტების სინდიკატები არაფერს პასუხის გებაში არ იძლევიან, როცა იმათი წევრი დაუშავებს რასმეს მუშებს, ამიტომ კონგრესი ჰფიქრობს, რომ ლორდთა პალატის დადგენილება უსამართლოა და არც პარლამენტისაგან 1871 და 1876 წ.წ. ტრედ-უნიონების თაობაზე გამოცემულ კანონებს ეთანხმება. კონგრესი ავალებს თავის საპარლამენტო კომიტეტს, პარლამენტში წარსადგენად ისეთი კანონ-პროექტი შეადგინოს, რომ ტრედ-უნიონების კასებს ჯარიმა ვეღარავინ ვერ გადაახდევინოს, ამას გარდა კონგრესი ავალებს საპარლამენტო კომიტეტს, ყველა საპარლამენტო კანდიდატს ეხლანდელ კონგრესის პოლიტიკა ამ საქმეში ცირკულიარით შეატყობინოს და ტრედ-უნიონისტებს აცნობოს, რომელ კანდიდატებს მიემხრნენ არჩევნის დროს."

ამას წინად მთავრობამ ტრედ-უნიონების იურიდიულ ყოფის გამოსაკვლევად კომისია დანიშნა და კომისიაში მუშების წარმომადგენელი არავინ მიიწვია. კონგრესმა დაადგინა: მთავრობის ასეთი საქციელი მუშა ხალხის შეურაცხყოფააო, ამიტომ მუშების წარმომადგენლებმა არაფერი ცნობა არ უნდა მისცენ ამ კომისიასო. სამუშაო დღის თაობაზე კონგრესმა დაადგინა: ჩვენმა საპარლამენტო კომიტეტმა მოითხოვოს, რომ მთამადნის მუშების მოთხოვნილება—8 საათის სამუშაო დღის დაწესება—პარლამენტმა აასრულოსო. შემდეგ კონგრესმა დადგინა, მთელს შეერთებულ სამეფოში (ინგლისსა, შოტლანდიასა, ირლანდიასა და უელსში) ყველა ხელობასა და საქმეშიაც 8 საათის სამუშაო დღე დაწესდესო. ამის თაობაზე დადგენილ რეზოლიუციაში ნათქვამია, მომავალ არჩევნის დროს ამ საქმეს მუშებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონო. პალატასა, საგრაფოების საბჭოსა, თუ საქალაქო საბჭოებში მუშებმა მარტო 8 საათის სამუშაო დღის მომხრეები უნდა აირჩიონო. ამავე დროს კონგრესმა დაავალა საპარლამენტო კომიტეტს დეპუტატთა პალატაში 8 საათის სამუშაო დღის თაობაზე კანონ-პროექტი წარადგინეთო. ამ რეზოლიუციას 824 ათას მუშის დელეგატი მიემხრო, 228 ათას მუშის დელეგატი-კი წინააღმდეგი გაუხდა.

28 აგვისტოს ტრედ-უნიონების კონგრესმა დაადგინა, მთა-მადნის მუშების დასაცველად უფრო კარგი კანონები გამოიცესო, 1903 წ. გამოცემული კანონი რკინის გზების მოსამსახურეთა შესახებ უფრო სასტიკად სრულდებოდესო; 1900 წლის კანონიც რკინის გზებზე მომხდარ უბედურების თაობაზე უფრო რიგზე სრულდებოდესო. კონგრესმა დაადგინა აგრეთვე, ისეთი კანონი გამოიცეს, რომ ქალაქის საბჭოებს ადვილად შეეძლოსთ მუშებისათვის რიგიან და იაფ სადგომების აშენება. საპარლამენტო კომიტეტს დაავალეს, ეცადენით, რომ რკინის გზებმა მუშებისათვის უფრო მეტი იაფი მატარებელი ამუშავონო. კონგრესმა ურჩია მუშებს, ძალა დაატანეთ ადგილობრივ საბჭოებს, ადგილები იყიდონ და იაფი სახლები ააშენონ, თორემ ეხლა რკინის გზების გამრავლებისა და მიმოსვლის გაუმჯობესებისაგან ხეირი მარტო ლენდ-ლორდებს (მამულის პატრონებს) აქვთო.

ერთმა დელეგატმა წინადადება მისცა კონგრესს: ტრედ-უნიონების საპარლამენტო კომიტეტს დავავალოთ, კაპიტალისტების საპარლამენტო საბჭოს მოელაპარაკოს და ტრედ-უნიონებისა და მუშების უბედურ შემთხვევათა დაზღვევის შესახებ გამოცემული კანონები ერთმანერთის თანხმობით შესცვალონო. ეს წინადადება კონგრესმა 208 ხმით 110 წინააღმდეგ უარ-ჰყო (208 დელეგატი 905 ათას მუშის წარმომადგენელია, 110 დელეგატი—332 ათასისა).

29 აგვისტოს ბენ-ტილეტმა წინადადება მისცა კონგრესს, დავადგინოთ, რომ კაპიტალისტებსა და მუშებ შუა ატეხილი დავა სამედიატორო სასამართლოებმა გაარჩიონ ხოლმე და სასამართლოს დადგენილებას ისეთი ძალა ჰქონდეს, რომ ორივ მხარე ემორჩილებოდესო. კამათიდან გამოჩნდა, რომ კონგრესის უმეტესობას ჭკუაში არ მოუვიდა ბენ ტილეტის წინადადება: მუშების აზრით, ეხლანდელ დროში ბენ-ტილეტის პროექტი ზარალის მეტს არას მოუტანს მშრომელ ხალხსაო. კენჭის ყრის დროს 251 ათას მუშის დელეგატი ბენ-ტილეტის წინადადებას მიემხრო, 899 ათას მუშის დელეგატი წინააღმდეგი იყო, ასე რომ კონგრესმა უარ-ჰყო ეს წინადადება. მუშებს უმთავრესად იმისი ეშინიანთ, რომ სამედიატორო სასამართლო სწორედ ვერ გაარჩევს საქმეს და უფრო კაპიტალისტებს მიჰკერძავსო. ამის შემდეგ კონგრესმა 116 ხმით 54 წინააღმდეგ მაინც დაადგინა, მუშებისა და კაპიტალისტების მორიგების თაობაზე უფრო რიგიანი კანონები გამოიცესო. ამისათვის განსაკუთრებული სასამართლო უნდა დაწესდესო. სასამართლოს უფლება უნდა მიენიჭოს, ვისაც საჭიროდ დაინახავს, ძალით დაიბაროს და ალაპარაკოს. სასამართლოს უფლება უნდა ჰქონდეს აგრეთვე სამრეწველო დავის გამოსაკვლევად საგანგებო კომისიები დანიშნოს და მოხსენება შეადგენინოსო. ამის შემდეგ კონგრესმა მთავრობის სასკოლო პოლიტიკა გაჰკიცხა და დაადგინა, რომ ინგლისში ყველასათვის ხელმისაწვდომი საერო სწავლა დაწესდესო: სკოლებს თითონ ხალხი უნდა უწევდეს კონტროლსაო. ამას გარდა კონგრესმა დაადგინა, შრომის დეპარტამენტს მეტი უფლება უნდა მიეცეს, შრომის საქმეებისათვის ცალკე მინისტრი დაინიშნოს და მოხუცებულ მუშებს სახელმწიფო ხარჯით პენსიები დაუწესდესო. ერთმა დელეგატმა პროექტი წარუდგინა კონგრესს, მუშებისათვის საკუთარი ყოველ დღიური გაზეთი გამოვცეთო. კონგრესმა მოიწონა ეს პროექტი.

29 აგვისტოს ტრედ-უნიონების კონგრესი დაიხურა.

მაკედონია. „პოლიტიშე კორესპონდენტ"-ს სწერენ სტამბოლიდან:

ადრიანოპოლისა და მონასტირის ვილაეტში აჯანყებულთა გასასამართლებლად განსაკუთრებული სასამართლოებია დაწესებული. ეხლა ამისთანა სასამართლოებს სალონიკსა და უსკიუბშიაც აწესებენ. ამ სასამართლოების დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება. სასამართლოების დადგენილებას არც არავისი დამტკიცება სჭირია. სასამართლოს წევრებად ოსმალეთის ადმინისტრაციისა და სასამართლოების წარმომადგენლები ინიშნებიან. სასამართლოებმა აქამდე ბევრს გადაუწყვიტეს სიკვდილით დასჯა, მაგრამ ეს განაჩენები ჯერ არ დაუმტკიცებიათ. იუწყებიან, სასამართლოებს საიდუმლო ბრძანება მოუვიდათ, რაც შეიძლება, სიკვდილით დასჯას ერიდენით და დამნაშავეთა განდევნას დასჯერდითო.

◆ „ნოიე ფრაიე პრესსე" გაჯავრებული სწერს: ევროპის სახელმწიფოები ოსმალეთს არ უშვებენ და ამით აჯანყების ჩაქრობას უძნელებენ. მით უფრო უძნელებენ, რომ მაკედონელებს უამისოდაც ევროპის დახმარების იმედი აქვთო. მაგალითად, საფრანგეთი ბეირუთში ესკადრის გაგზავნას აპირობს და ამით ოსმალეთს სახელს უტეხსო. მაგრამ ყველაზე ძლიერ „ნოიე ფრაიე პრესსე" იტალიურ გაზეთსა ჰკიცხავს. იტალიური გაზ. „მესაჯერო" თხოულობს, სახელმწიფოები უსათუოდ უნდა გაერივნენ ოსმალეთის საქმეშიო, იტალიამ კიდევ ალბანიის ნაპირი უნდა დაიჭიროსო. „ჯიორნალე დ-იტალია" იუწყება, იქნება იტალიის სამინისტრო მარტო ფლოტის გაგზავნას არ დასჯერდეს და ალბანიის დასაჭერად მთელი კორპუსი ჯარი გაჰგზავნოსო. ამ საქმეზე მოსალაპარაკებლად საზღვაო მინისტრი ცანარდელისთან წავიდა მადერნოშიო.

ახალი ამბავი

◆ „პრავიტ. ვესტნიკ"-ში დაბეჭდილია: 29 აგვისტოს განჯაში სომხებმა არეულობანი მოახდინეს სომხეთა ეკლესიის ქონების გადაცემის გამო. დაბარებულ ჯარს სომხებმა ქვები დაუშინეს და დასჭრეს სამი ჯარისკაცი. უწესოების მოსასპობად ჯარი იძულებული გახდა იარაღი ეხმარა. ამის შემდეგ ხალხი დაიშალა. მოკვდა 7 კაცი, დაიჭრა 27.

„31 აგვისტოს, ტფილისში, წირვის შემდეგ სომხეთა სამღვდელოებამ ვანქის ტაძრის გალავანში ორი-ათას კაცის თანდას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წრებით გადაიხადა პანაშვიდი იმათ სულის მოსახსენებლად, ვინც განჯაში მომხდარ არეულობის დროს მოჰკლეს. პანაშვიდს შემდეგ მღვდელმა ტერ-არარატოვმა წყევა-კრულვა წარმოსთქვა საეკკლესიო კონების ჩამორთმევისათვის. ამასთან ხალხში ჰფანტავდნენ სარევოლიუციო ფურცლებს. შეკრებილი ხალხი ხმაურობდა და ქვებს ისროდა, ამას გარდა 40-ჯერ ესროლეს რევოლვერი პოლიციას. პოლიციამაც პასუხი გასცა და ჰაერში დაიწყო სროლა, მაგრამ ამისდა მიუხედავად ხალხიდან რამდენიმე კაცი მაინც დაიჭრა. ერთი მუშა სასიკვდილოდ დაიჭრა. პოლიციელთაგან რამდენიმე კაცი დაშავდა, ერთი მოჰკლეს. დაიბარეს ყაზახები, რომელთაც გაჰფანტეს ხალხი და დააპატიმრეს მეთაურნი, მათ შორის მღვდელი ტერ-არარატოვი“.

◆ **თერგის ოლქის უფროსმა** გენ. ლეიტ. ტოლსტოვმა შემდეგი ბრძანება გამოსცა: „ამ ბოლოს დროს ხასავ-იურტის მაზრის იმ რაიონში, სადაც ბაირამ-აულ, მუცამ-აული და სხვა სოფლებია, ძლიან გახშირდა ძარცვა-გლეჯა და ქურდობა. ადგილობრივ მკვიდრნი არა რუსნი სძარცვავენ და სდევნიან რუსს მცხოვრებთ, რათა განდევნონ ამ კუთხიდან რუსის ელემენტი. ამის გამო სამხედრო ოლქის უფროსის ნებართვით ვუკრძალავ ხსენებულ სოფლების მცხოვრებთ იარაღის ტარებას. ყველას უნდა ჩამოერთვას იარაღი და გადაეცეს დანიშნულებისამებრ. ამასთან მცხოვრებთ გამოეცხადოს, რომ ვისაც ამის შემდეგ იარაღი აღმოაჩნდება, ის პასუხის გებაში იქნება მიცემული.“

◆ როგორც პეტერბურგიდან გვატობინებენ, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წარმომადგენელს ვერმიშევს **მეღვინე-მევენახეობის კომიტეტისათვის** წარუდგენია მოხსენება. თავის მოხსენებაში ვერმიშევი აღნიშნავს წყაროებს იმ თანხის შესადგენად, რომელიც საჭიროა ღვინის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ საბრძოლველად. რადგან ხაზინა ამ ფულის გამოღებას ვერ იკისრებს, ვერმიშევის აზრით, უნდა მეღვინეებმა გასწიონ ხარჯი. რუსეთის რკინის გზებით ყოველ წლობით გადააქვთ 700,000 ფუთი ღვინო. მთავრობამ ფუთ ღვინოს უნდა დაადვას გადასახადი 5 კაპ., რაც შეადგენს წელიწადში 350,000 მანეთს. ამას გარდა 10% გარდასახადი უნდა დაედებულ იქნეს რუსეთის ყველა იმ კუთხის მოცხოვრებლებზე, სადაც ღვინის მოყვანას მისდევენ. ამ გზით შემოსული ფული გადაეცემა მიწათ-მოქმედების სამინისტროს. უნდა დააარსოს სამინისტრომ ისეთი დაწესებულებანი, რომელთაც უნდა იბრძოლონ ღვინის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ. გადასახადების გაწერის ნება უნდა მიეცეთ აგრეთვე ერობებს და მეღვინეთა განსაკუთრებულ კრებებს. კომისიას ვერმიშევის მოსაზრებანი მიუღია და დაუდგენია, სხვა მოხსენებებთან ერთად წარედგინოს განსაკუთრებულ საბჭოს განსახილველად.

◆ უმაღლეს მთავრობას გადაუწყვეტია, მონაწილეობა მიიღოს რუსეთმა იმ **მსოფლიო გამოფენაში**, რომელსაც ჰმართავს ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების რესპუბლიკა ქალაქ სან-ლუისში 1904 წელს. მიწათ-მოქმედების დეპარტამენტმა სთხოვა, სხვათა შორის, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, დახმარება გაუწიოს სამინისტროს აღნიშნულ გამოფენაში მონაწილეობის მიღების დროს როგორც თავის ნაწარმოებების წარდგენით, ისე ადგილობრივ მცხოვრებთა წახალისებით მონაწილეობის მისაღებად. სან-ლუი დიდი ქალაქია, შეიცავს 700,000 მცხოვრებს და მდ. მისისიპის პირად მდებარეობს. ვისაც უნდა ამ გამოფენაში მონაწილეობის მიღება, თავისი სურვილი უნდა შეატყობინოს მიწათ-მოქმედების სამინისტროს საგანგებო საქმეთა მინდობილების მოხელეს ევსტაფი ნიკოლოზის ძეს ნიტტეს პეტერბურგში.

◆ **კახეთი**: რადგან ამ ბოლოს დროს ცხელი დღეები დაიჭირა, ყურძენი მალე მოიწია, ასე რომ რთველს აღარ დაახანებენ. საუფლისწულო მამულში აგვისტოშივე დაიწყეს ყურძნის კრეფა. წვრილ ვენახების დასაკრებად მთვარის გადაბრუნებას ელიან. ამ ჟამად მცხოვრებნი სიმინდში არიან—ტაროს მოსამტვრევლად. ყველგან რთველი ალავერდობის (14 სექტემბრის) შემდეგ დაიწყება.

◆ **ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია** რომელიც შესდგება წევრების ს. პ. ლაზარევისა და ვ. ა. დრუევიცა-კოვვაჩისაგან, ბრალმდებლის ამხანაგის პ. პ. ფონ-კლუგენისა და მდივნის თანაშემწეთა გ. ი. გაბიტაშვილისა და ი. გ. გალოჯევისაგან, გუშინ, 9 სექტემბერს, გაემგზავრა სიღნაღში საქმეების განსახილველად. სესიის სხდომები დაიწყება დღეს და გასტანს 22 სექტემბრამდე.

◆ შარშან თავ. ნაკაშიძემ შესწირა „ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას“ 2400 მან. იმ პირობით, რომ ამ ფულის სარგებელი ყოველ წლობით ეძლიოს **გურიანთის სამრევლო სკოლას**. ამ წლის სარგებელი 125 მან: 40 კაპ. აღნიშნულ სკოლას უკვე გაეგზავნა.

◆ „ქ. შორის წერა-კითხვას გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობამ დაადგინა **ბათუმის სკოლაში** მასწავლებლად დანიშნოს ალექსანდრე გელაძე.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობის წევრმა ტ. ა. ენფიანჯიანცმა **დრეზდენიდან დეპეშით** შეატყობინა ქალაქის გამგეობას, გამოფენის შესასწავლად კიდევ მჭირდება დრო და ათი დღით განმათავისუფლეთ სამსახურიდანაო.

◆ 8 სექტემბერს პიატიგორსკიდან **ტფილისს დაბრუნდა** გუბერნიის ექიმი ბ-ნი ქიქოძე.

◆ პოლიციის მე-7 ნაწილის სურპ-კარაპეტისა, მოცეუტისა და სოსტინსკის ქუჩის მცხოვრებლებმა სთხოვეს გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობას, დასდგას იმათ ბნელ ქუჩებზე ფარნები.

◆ ქალაქის ქუჩებისა და მოედნების საუკეთესო სისტემით მომკირწვლელმა კომისიამ განიხილა მოხსენებანი ლიუტერანისა და პრაჩეშნი ქუჩის მცხოვრებლებისა, რომელნიც თხოულობენ თავიანთ ქუჩის მოკირწვლას. კომისიამ დაადგინა სახეში იქონიოს ეს მოხსენებანი, როცა შეუდგება გეგმის შემუშავებას.

◆ ამ სამი დღის წინად ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე თელავის მოქალაქის ბუდდან კირაკოზოვისა, რომელსაც თავის სიცოლეს პელაგია არტემაშვილის დახმარებით, არტილერიის ქუჩაზე სოფიო ლებედევის სახლიდან 700 მანეთის ნივთების მოპარვა ჰბრალდებოდა. ოლქის სასამართლომ კირაკოზოვს გადაუწყვიტა ზოგიერთ განსაკუთრებულ უფლების ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში ერთის წლით გაგზავნა.

◆ ტფილისის საუქციონო ზალას ამა წლის 1 იანვრიდან 8 სექტემბრამდე გაუყიდნია 24,520 მან. 40 კაპ. საქონელი.

◆ გუშინ-წინ, პოლიციის მე-7 ნაწილში, მტკვარში ბანაობის დროს ტფილისის მოქალაქე ვანო გაბიაძე ჩაუთრევია მტკვარს და დაუხრჩვია.

◆ 9 სექტემბერს მიხეილის ქუჩაზე ფაიტონს თვალი მოჰვარდა. შიგ ისხდნენ მღვდელი და ერთი ქალი, რომელნიც გადმოცვივდნენ და მცირე ოდნად დაშავდნენ.

◆ ყაზბეგის (ვერაზე) სკოლის მასწავლებლად დაინიშნა მარიამ პავლიაშვილი, კურს დამთავრებული ტფილისის დედათა წმ. ნინოს სასწავლებლისა.

შინ და გარეთ

6.

3 სექტემბერს შესრულდა 40 წელიწადი, რაც რუსული გაზეთი „რუსსკ. ვედომ.“ არსებობს.

ორმოცი წელიწადი დიდი ხანაა გაზეთის არსებობისათვის ისეთს ძნელ პირობებში, როგორიც ბედმა რუსულს პრესსას არგუნა. ამაზე მეტი იშვიათია, სხვა კერძო გამოცემას ეცოცხლა. მართალია, „მოსკოვ. ვედ.“, „პეტერბ. ვედომ.“ და ორიოდე სხვა გაზეთი უფრო დიდი ხანია ცხოვრობენ, მაგრამ მათი ზნეობრივი ფიზიონომია არ შეედრება „რუსსკ. ვედომ.“-ის ფიზიონომიას და ამიტომ მათი არსებობაც უზრუნველყოფილი იყო.

„რუსსკ. ვედომ.“ რუსეთის მოწინავე ლიბერალების გაზეთი იყო და არის დღესაც. 40 წლის განმავლობაში მას არ უღალატნია ერთხელვე შეთვისებულ მიმართულებისა და პროგრამისათვის; ერთხელაც არ ასცდენია რიგიან და პატიოსან ორგანოს გზას. ამიტომაც ამ გაზეთმა მტკიცე პატიოსნება დაიმსახურა არა მარტო მოყვარე თანამოაზრეთაგან, არამედ მტრებისაგანაც. აი ერთი ამის დამამტკიცებელი ეპიზოდიც, რომელიც ამასთანავე გვიხასიათებს „რუსსკ. ვედომ.“ სხვა და სხვა გაჭირვებას.

რამდენისამე წლის წინად, როგორც მკითხველსაც ეხსომება, ზედის ზედ რამდენჯერმე სტუდენტების დიდი არეულობა მოხდა, რამაც მთელი პრესსა ააყაყანა. მაშინ „მოსკოვ. ვედ.“ აუხირდა „რუსსკ, ვედომ,“—მთელი ეს მთავრობის წინააღმდეგი მოძრაობა შენი ბრალია და ეხლავ ცოდვები მოინანიე: საქვეყნოდ აღიარე, რომ თვითმპყრობელობისა და მართლ-მადიდებლობის დამცველი ხარო, თორემ...და სხვა. „მოსკ. ვედომ.“-ის ამგვარმა ამხედრებამ მთელი პრესსაააშფოთა და ყველამ პროტესტი გამოუცხადა გრინგმუტის გაზეთს; საერთო პროტესტში „პეტერბ. ვედ.“, „ნოვ. ვრ.“ და სხვა კონსერვატიული გაზეთებიც ერივნენ, რომელნიც იცავდნენ ლიბერალურ გაზეთს და უკიჟინებდნენ „მოსკოვ. ვედომ.“—ვინ მოგცათ ნება მეორედ ფიცის ჩამორთმევისა და პატიოსან ორგანოს ასეთ დაბეზღებისაო...

ვისაც თვალ-ყური უდევნებია რუსულ პრესსისათვის, მისთვის საჭირო არ არის „რუსსკ. ვედომ.“ მიმართულებისა და ფიზიონომიის დახასიათება: ყველამ იცის, რომ ეს გაზეთი, შეძლებისადაგვარად, იცავდა ლიბერალურ დაწესებულებათ და ეომებოდა რეაქციას, საზოგადოებას აცნობდა განათლებულ ქვეყნების უკეთესს დაწესებულებათ, აზრებსა და ჰუმანიურს იდეალებს. ეს, ვიმეორებთ, ყველამ იცის, მაგრამ უნდა კი ვთქვათ, რომ ეს „დაცვა“ ლიბერალიზმისა, ეს „ომი“ რეაქციასთან, ეს „გაცნობა“ უცხოეთისა მეტის-მეტად რიხიანად არის ნათქვამი და სინამდვილეს არ შეეფერება. დაცვა და ომი დიდი სიტყვებია და ჩვენს გონებაში სულ სხვა სურათებს იწვევენ; „რუსსკ. ვედომ.“-ის მკრთალს მოღვაწეობას-კი, მართალი რომ ვთქვათ, უფრო უბრალო სიტყვები შეეფერებიან. მედგარი დაცვა და მედგარი ომი ევროპის თავისუფალმა პრესსამ იცის, რუსეთში-კი ყველაფერი შეძლებისადაგვარად ხდება. ოჰ, ეს „შეძლებისადაგვარად“! ვინ ასწონის, რაოდენ ტრაგიკული მნიშვნელობა და აზრი აქვს ამ სიტყვას რუსულ ლიტერატურის ისტორიაში?!.

საინტერესოა რუსულ ლიბერალურ გაზეთის 40 წლის ნამდვილი ისტორია რომ დაიწერებოდეს. რამდენ ტანჯვასა და ვაებას გავიგებდით და ამასთანავე რაოდენ სისუსტისა და უძლურების მაგალითი გვექნებოდა თვალ წინ! სამწუხაროდ, ასეთს ისტორიას მალე ვერ მოვესწრებით და ამიტომ ჯერ დავკმაყოფილდეთ იმ ორიოდე სიტყვით, რომლითაც თვით „რუსსკ. ვედომ.“ ახასიათებენ თავის სამსახურს საიუბილეო დღის №-ის მეთაურ წერილში.

მეტად ცუდსა და უნუგეშო შთაბეჭდილებას ახდენს გაზეთის ეს მეთაური წერილი. ჰკითხულობ და თანაც ჰფიქრობ: ღმერთო ჩემო, ნუთუ ნახევარ საუკუნის განმავლობაში საუკეთესო გაზეთს ამაზე მეტი ვერაფერი გაუკეთებია, ამაზე მეტი პოლიტიკური ძალა ვერ გამოუჩენია?! რას გვეუბნება საიუბილეო მეთაური?

40 წლის განმავლობაში ჩვენ ვიცავდით იმპერატორის ალექსანდრე მეორის რეფორმებსაო: გლეხთა განთავისუფლებას, ერობას და სასამართლო რეფორმას. კარგი, მაგრამ უკვე განხორციელებულ რეფორმების დაცვა კონსერვატიულ გაზეთების საქმეა და არა მოწინავე ლიბერალებისა. მართალია, ხსენებულ რეფორმების ბედი სხვანაირად დატრიალდა და მათი დაცვა საჭირო შეიქნა, მაგრამ განა ამით უნდა დაკმაყოფილდეს მოწინავე საზოგადოების აზრთა გამომთქმელი გაზეთი? სად არის მისი პროგრამმა, რას თხოულობს ახალს, რისთვის ან როგორ იბრძვის? ამ საკითხზე „რუსსკ. ვედომ.“ მეთაური ასეთს პასუხს გვაძლევს: ჩვენ ვთხოულობდით პრესსის უფლებათა განვითარებას, კანონიერების დამყარებას, განათლებისა და ტეხნიკურ ცოდნათა გავრცელებას, საფაბრიკო კანონმდებლობას და სხვა ამგვარს. აი რა მცირეა ის მოთხოვნა-სურვილები, რომელნიც შეადგენენ საუკეთესო რუსულ ლიბერალურ გაზეთის პოლიტიკურს პროგრამას! აი კიდევ რას კვეხულობს გაზეთი:

40 წლის განმავლობაში ჩვენ არა ერთხელ გვიგრძვნია კმაყოფილება იმის გამო, რომ ზოგიერთი ჩვენი აზრი და წინადადება, რომელნიც მთავრობის შეხედულებას ეწინააღმდეგებოდნენ, შემდეგში განხორციელებულა ან მთავრობის აზრადაც გამხდარა; მაგალითად, შიდა გუბერნიებიდან გადასახლებულთა დახმარება, საფაბრიკო ინსპექციის დაარსება, საშუალო სწავლის რეფორმის საქმე და სხვათ. ამ საკითხებზე წინად სჯაც არ შეიძლებოდაო, ახლა კი...

ეს არის და ეს რუსულ ლიბერალიზმის გამარჯვება ორმოცი წლის განმავლობაში და აბა „რუსკი ვედომოსტებმაც“ რა ჰქნან, თუ ამაზე მეტს ვერას დაიკვეხნიან?!

გან

რუსეთის ქრონიკა

◆ „პრავიტ. ვესტნ.“-ში დაბეჭდილია: 29 აგვისტოს, საღამოს, ქ. გომელში ერთმა გლეხმა და ებრაელმა მოვაჭრე ქალმა ჩხუბი ასტეხეს; ებრაელ ქალს ებრაელები გამოესარჩლნენ და გლეხ რუსს—რუსები. მოხდა დიდი ჩხუბი. წესიერების აღდგენის დროს ებრაელები ესროდნენ პოლიციელთ ქვებს და ერთჯელ გაისროლეს რევოლვერი. პოლიციელებმა ჰაერში ისროლეს რევოლვერები. ჩხუბის დროს ებრაელმა სასიკვდილოდ დასჭრა კისერში ერთი რუსი; ერთი ებრაელი მსუბუქადაა დაჭრილი ტყვიით და 7 ებრაელი—ქვებით. 1 ენკენისთვეს უწესოება განმეორდა. რუსის მუშებმა არეულობა მოახდინეს ებრაელებზე შურის საძიებლად და დაანგრიეს ებრაელთა სახლები და დუქნები. შეტაკების დროს რამდენიმე ათი კაცი დაიჭრა ორივე მხრით. წესიერების აღსადგენად გამოიწვიეს ჯარი, რომელსაც ებრაელები თოფის სროლით დაუხვდნენ, რის გამო ჯარი იძულებული იყო იარაღი ეხმარა. ხალხი გაიფანტა და საღამოზე წესიერება დამყარდა ქუჩებში. მოგილევის გუბერნატორი ჩამოვიდა და მისგან შეკრებილ ცნობებიდან სჩანს, რომ ქალაქის საავადმყოფოებში იმყოფება 5 დაჭრილი ქრისტეანე და 9 ებრაელი. მოკლულია 4 ქრისტეანე და 2 ებრაელი.

◆ ფეოდოსიიდან სწერენ გაზ. „ნოვ. ვრემიას“, რომ 19 აგვისტოს მოულოდნელად ჩამოვიდა ფეოდოსიაში ტავრიდის გუბერნატორი ტრეპოვი და, ჩამოხტა თუ არა სასტუმროში, იმ საათშივე დანიშნა კრება იმ პირთა, რომელთაც ნავთსადგურის მოქმედება შეეხებათ. მათ შორის იყვნენ საქონლის გამტან, ექსპორტიორთა ფირმების წარმომადგენელნი, ქალაქის თავი, ნავთსადგურის უფროსი, პოლიციისა და ჟანდარმერიის წარმომადგენელნი და სხვ. პირველად ექსპორტიორებმა ილაპარაკეს. მუშათა ქირის ცვალებადობა, იმათის აზრით, დიდ ხიფათში ჩააგდებს არა მარტო ექსპორტიორთა ფირმებს, არამედ მთელ ნავთსადგურის მოქმედებას, რაც მუშებმა პირველად მოითხოვეს ქირის მომატება, ექსპორტიორები დასთანხმდნენ და მოუმატეს. შემდეგ, როცა ნავთსადგურის უფროსმა განაწესრიგა მუშათა ქირის საქმე, ექსპორტიორებმა ამაზედაც თანხმობა გამოაცხადეს, რადგან ჰფიქრობდნენ, რომ ამის შემდეგ მუშათა მღელვარება დაცხრებოდა. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ მუშებმა ახალი მოთხოვნილება გამოაცხადეს. გუბერნატორისაგან მიწვეულ კრებაზე ხელახლა განიხილეს საქმე მუშათა ქირის შესახებ და გამოარკვიეს ამ ქირის რაოდენობა. კრება რომ დასრულდა, გუბერნატორი წავიდა ნავთსადგურში, სადაც გამოუცხადა თავმოყრილ მუშებს, თუ რა შედეგი მოჰყვა შემდგარ კრებას. მუშების ერთმა ნაწილმა თანხმობა გამოაცხადა ახალ დაწესებულ ქირის მიღებაზე, დანარჩენთ კი ხმა მაღლა ძახილით გამოაცხადეს, არა ვართ კმაყოფილი ამ ქირითაო. გუბერნატორმა ორი საათი დრო მისცა მუშებსა და ექსპორტიორებს მოსალაპარაკებლად. მოლაპარაკების შემდეგ ორივე მხარე შეთანხმდა ახალ დაწესებულ ქირის მიღების შესახებ.

◆ „რუსკ. ვედომ.“ იუწყება: ხმა დადის, რომ გადასახადთა ინსპექცია, რომელიც დღეს ფინანსთა სამინისტროს უწყებაშია, შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებაში უნდა გადასცენო.

◆ 1 ოქტომბრიდან პეტერბურგში ახალ საფოსტო წესს შემოიღებენ დეპეშათა გაგზავნის შესახებ: რუსეთის საზღვრებში დეპეშის გაგზავნის მსურველთ შეუძლიათ მარკები დააკრან დეპეშას და საფოსტო ყუთში ჩააგდონ.

◆ რადგან რუსეთიდან ყველაზე მეტი საფოსტო კორესპონდენცია და დეპეშები გერმანიაში იგზავნება, (თითქმის ნახევარი მთელის საზღვარ გარეთელ კორესპონდენ-

ციისა), ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ-გამგეობა გერმანიის ფოსტა-ტელეგრაფის გამგეობასთან შეთანხმებით ადგენს პროექტს რუსეთისა და გერმანიის შორის ფოსტით ფულის გადაცემის შესახებ.

◆ ჟიტომირის ეპისკოპოსმა ნეძიალკოვსკიმ ერთი წიგნი გამოსცა შემდეგის სათაურით: „რატომ არ არის ჩვენ პოეზიაში ბულბულები“? ეს წიგნი გაარჩია ზომიერ-კრიტიკულად პატრმა იგნატი ხარშევსკიმ გაზ. „სლოვო“-ში. ეპისკოპოსმა ძლიერ იწყინა პატრის კრიტიკა და ღია წერილი დაბეჭდა, სადაც, სხვათა შორის, გამოსთქვა, რომ მღვდელს არა აქვს უფლება კრიტიკულად შეეხოს ეპისკოპოსს, პირიქით ჭკუა უნდა ისწავლოს მისგანო“. ასტყდა ამის შესახებ პრინციპიალური კამათი. პატერმა კოვალსკიმ დაამტკიცა კანონიკურ უფლების საშუალებით, რომ ყოველ პატერს უფლება აქვს ეპისკოპოსს კრიტიკულად შეეხოს იმ შემთხვევაში, თუ ეპისკოპოსის მოქმედება პატრის სვინიდისს ეწინააღმდეგება. სამღვდელოებამ დასწყევლა პატერი კოვალსკი მისგან გამოთქმულ აზრებისათვის და ეპისკოპოსმა მას ღვთის მსახურების ასრულება აუკრძალა. კოვალსკიმ გაზეთ. „გლოს“-ს მიჰმართა და დახმარებას სთხოვდა. გაზეთის რედაქციამ ერთ კერძო ბანკში უშოვნა ადგილი, მაგრამ კოვალსკიმ... ეპისკოპოსთან შერიგება არჩია, უარჰყო თავისი სიტყვები, ამიტომ მას მღვდლის ხარისხი და შემოსავალი დაუბრუნეს. ამნაირად დასრულდა პატერთა ბრძოლა „თავისუფლებისათვის“.

პრესსა

„პეტერბ. ვედ.“-ში შემდეგი წერილია დაბეჭდილი მემამულე მენშჩიკოვისა. წერილში მოთხრობილია მისი სამწუხარო თავ-გარდასავალი. მკითხველს ნამდვილად საშუალო საუკუნოებს გაახსენებს ამ საქმის გარემოება.

ლიპჰარდტის და კომპ.-ის ფირმამ მაცნობა, სწერს მენშჩიკოვი, რომ ამა და ამ დღეს მოხდება სადგურ ევლაკოვოზე მანქანების კონკურსი. სხვათა შორის, მეც მქონდა გაგზავნილი იქ ჩემი მანქანა და წაველ კონკურსზე დასასწრებლად. სადგურ ლისკიზე ჟანდარმებმა მიმიწვიეს ცალკე ოთახში მოსალაპარაკებლად და გამომიცხადეს, რომ ქურდობას მაწამებენ, თითქო სომხებისა ან ებრაელებისათვის (კარგად არ მახსოვს) ქოლგები მომეპაროს. მე დოკუმენტები არ მქონია თან ჩემი ვინაობის დასამტკიცებლად. ერთმა ჟანდარმთაგანმა, სახეთა-მეცნიერმა, „ფიზიონომისტმა“ იცნო ჩემში ქურდობაში დახელოვნებული სპეციალისტი, რომელსაც კარგა ხანია დაეძებს ჟანდარმერია. ჩემ პროტესტს და თხოვნას, ატკარის პროკურორისათვის დეპეშა გაეგზავნათ ჩემი ვინაობის შესატყობად, არავითარი ყურადღება არ მიაქციეს, პასუხის მაგივრად ხელები შემიკრეს და მცემეს. კარგად არ მახსოვს, რა მოხდა ამის შემდეგ: ისტერიკა დამემართა და ცნობა დამეკარგა. ცნობაში რომ მოვედი, სატუსაღოში წამიყვანეს. თავის დღეში არ დამავიწყდება იქ გატარებული ღამე. შუშა ჩამტვრეულ ფანჯარაში თავისუფლად შემოჰქროდა ქარი და ასხამდა წვიმა. კუთხეში სამი ფარღალალა ფიცარი იყო გადებული, რომელიც ლოგინს წარმოადგენდა; საშინელი ტალახი, სიმყრალე და თაგვების მთელი გროვა. ვის შეეძლო იქ ძილი? მთელი მეორე დღე ამ სატუსაღოში ვიყავი. საღამოზე პოლიციის ზედამხედველი მეწვია და ნიშნ-მოგებით დამათვალიერა, როგორც მის კლანჭებში ჩავარდნილი ქურდი-სპეციალისტი. მესამე დღეს 11 საათამდის ვიჯექი სატუსაღოში. საჭმელს არ მაძლევდნენ. ფული, რაც-კი რამ მქონდა, ჟანდარმებმა გამომართვეს. ნება არ მომცეს დეპეშა გამეგზავნა სახლში. წამიყვანეს ქ. ბობროვში, 45 ვერსტის სიშორეზე, გამომძიებელთან. ღამე გზაში ცივ სატუსაღოში გავატარე. ჰქროდა საშინელი ქარი და ასხამდა კოკის-პირული წვიმა, მხოლოდ 8 გრადუსი სითბო იყო და მე უპალტოოდ, ტალახში ამოსვრილი, ტანისამოს-შემოგლეჯილი და სიცივისაგან აკანკალებული წარმადგინეს გამომძიებელთან. წამდა-უწუმ ისტერიკა მემართებოდა. რა ნდობა უნდა გამოეცხადებია ჩემთვის გამომძიებელს? ისევ სატუსაღოში დამამწყვდიეს.

ჟანდარმები ამტკიცებდნენ, თვითონ ვნახეთ, რომ ამ კაცმა მოიპარა ქოლგებიო.

სატუსაღოში ტუსაღების ხალათი ჩამაცვეს; ძალიან სათაკილოდ დამირჩა ამ ხალათის ჩაცმა, მაგრამ, რადგან მშრალი იყო, ბოლოს კიდევაც მესიამოვნა.

ტუსაღებმა დაიჯერეს, როცა ჩემი ამბავი ვუთხარი. თანაგრძნობა გამომიცხადეს და გამითბეს გული. ძლიერ სასიხარულოდ დამრჩა მათი თანაგრძნობა ამდენი ტანჯვის შემდეგ. ცოტაოდნად დავმშვიდდი. ჩემი საქმე განიხილეს, დეპეშები გაუგზავნეს ჩემ სახლობას, გაიგეს ჩემი ვინაობა და მესამე დღეს გამანთავისუფლეს. ისეთნაირად ამიშალა ნერვები ამ განვლილმა სატანჯველმა, რომ ჟანდარმი დასანახავად შემძაგდა; რომ დავინახავდი, ვღელავდი და ვთრთოდი თავიდან ფეხებამდი. იძულებული ვიყავ, მეთხოვნა პოლიციის ზედამხედველისათვის, სად. ლისკამდის გამყოლოდა.

ახლა სრულებით არ მჯერა, რომ უზრუნველნი ვართ იმ კაცთა ძალადობისაგან, რომელნიც ჩვენ დასაცველად არიან დაყენებულნი. გუშინ დავბრუნდი სახლში; სამი დღეა, რაც სატუსაღოდან გამანთავისუფლეს და ჯერაც ვერ მოვსულვარ გონზე. სიზმარში გადამხდა მგონია ყველა ეს, მაჯლაჯუნასავით დამაწვა გულზე. თუმცა ჯანმრთელი კაცი ვარ, და ვგრძნობ, რომ ცუდად არ ჩამივლის გამოცდილი ტანჯვა.

⁂

ჩვენს დროში არა მარტო ცოცხალთ, მკვდართაც კი არ ასვენებენ და უჭირებენ საქმეს. ზემოთქმულს რუსეთის გაზეთებში დაბეჭდილი შემდეგი ამბავი ამტკიცებს.

18 აგვისტოს სოფ. ალექსანდრო—კუნდრიუჩესკში ერთი ადგილობრივი მკვიდრი-ყაზახი გარდაიცვალა, 83 წლის მოხუცი, გვარად ტაბუნშჩიკოვი. მოხუცის ცხედარმა ბევრი გაჭირვება გამოიარა, სანამ საუკუნო განსასვენებელ ადგილას მიაღწევდა.

როცა განსვენებულის ნათესავებმა მღვდელი მოიწვიეს, უკანასკნელმა უარი გამოუცხადა: გავიგე, რომ უეცრად გარდაცვლილა თქვენი ნათესავი და, სანამ სოფლის ატამანი მოწმობას არ მომცემთ, პანაშვიდს ვერ გადავიხდიო.

საუბედუროდ, ატამანი სადღაც წასული დარჩა. მიმართეს პოლიციელს, რომელმაც უპასუხა: ატამანს არაფერი დაუბარებია ჩემთვის ამ საქმის შესახებაო. გაუდგნენ ატამანის საძებრად, ორი დღე იარეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. მიჰმართეს ექიმს. ექიმმა მოწმობა მისცა მკვდრის ნათესავებს, ამტკიცებდა, რომ ტაბუნშჩიკოვი მართლა ავადმყოფობდა, მასთან წამლობდა და სხვა.

მღვდელი დამშვიდდა.

—კარგი, მაშ მედავითნეს დაუძახეთო,—მოახდინა განკარგულება. გამოცხადდა მედავითნე და შემდეგი სიტყვით მიჰმართა მღვდელს: თქვენ, მამაო, მოხუცებული კაცი ბრძანდებით, მე-კი ჯერ კიდევ ახალგაზდა ვარ; ვინ იცის, რა მოგველის ამ საქმისათვის? ვაი თუ ექიმის მოწმობას არაფერი ძალა არ ჰქონდეს! უთუოდ საჭიროა, ატამანის მოწმობა ჩავიგდოთ ხელში.

ისევ აშფოთდა მღვდელი:

— ყველა ეს ჭკუაზე ახლოა: იქმნება მართალს ამბობდეს მედავითნეო. შეიძლება ახალი რამ კანონები ან წესები იყოს ამის შესახებ გამოცემული. ახალგაზდა მედავითნემ ჩემზე უკეთ უნდა იცოდეს ყველა ეს... ხიფათში არ ჩამაგდოს ამ ხალხმაო.

მღვდელმა ისევ უარი შეუთვალა მკვდრის ნათესავებს.

—ვერ დავასაფლავებ, სანამ ატამანის მოწმობას არ წარმოადგენთო...

ამასობაში, ამ გაწამაწიაში უკვე რამდენიმე დღე გავიდა. გარდაცვალებულის ცხედარი სრულებით გაიხრწნა, ისე აყროლდა სახლი, რომ შიგ ველარავინ შედიოდა. ითათბირეს ნათესავებმა და შემდეგ საბოლოო დასკვნას დაადგნენ:

— განსვენებული სასაფლაოზე გავიტანოთ, დავდვათ საფლავთან, შემდეგ კი რაც იქმნეს და იქმნეს, ასრულდეს ღვთის ნებაო. სთქვეს და აასრულეს.

საბრალო მოხუცის ცხედარი იქმნება დღესაც ელოდება სასაფლაოზე ატამანის დაბრუნებას.

თეატრი

გუშინ დაიწყო რეპეტიციები ქართულ თეატრში. მთელმა დასმა უკვე მოიყარა თავი ტფილისში. ამისთანა დიდი დასი, როგორც წელს, ჯერ ქართულ თეატრს არა ჰყოლია. წლევანდელ დასში ითვლებიან: ქალები: მარიამ საფაროვ-აბაშიძე, ნატალია გაბუნია-ცაგარელი, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ნინო ჩხეიძე, ალ. კარგარეთელი, ტასო აბაშიძე, ბ. ნებიერიძე, გამყრელიძე, მდივანი, დავითაშვილი, ყიფიანი, გივიშვილი; კაცები: კონს. ყიფიანი, ვას. აბაშიძე, კონს. მესხი, ვალ. გუნია, ვიქ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი. ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, ივანიძე, იმედაშვილი, მირიანაშვილი და სხვანი. რეჟისორად, როგორც ვუწყით, აკაკი წერეთელია. რეჟისორის თანაშემწედ და სცენაზე ადმინისტრატორად გამგეობას დაუნიშნია კონ. შათირიშვილი. პირველი წარმოდგენა, „სამშობლო“, კვირას, 21 სექტემბერს, გაიმართება. მეორე წარმოდგენისთვის ამზადებენ შექსპირის კომედიას „ჭირვეულ ცოლის მორჯულება“-ს.

წერილი სვანეთიდან

ჯარის-კაცთა მიღება სვანეთში და იმათი თხოვნა.—ბეჩო და თოვლი.—ნათესების დაზარალება.—მოსწავლე სვანის ბავშვი.

წელს სვანეთში ჯარში გასაყვან ახალგაზდა კაცთა მიღება უკვე გათავდა 21 აგვისტოს. მიზეზი ასე ადრე გათავებისა ის არის, რომ ენკენისთვის პირველ რიცხვებში აქ თოვლი მოდის და მთაზე გადასვლა ყოვლად შეუძლებელია. კენჭის ამოსაღებად მოწვეული იყო სულ ას ოცი კაცი, მათ რიცხვში უნდა მიგვეღო მხოლოდ ოც-და თოთხმეტი. მეგონა, ბევრი რჩევა და შემოწმება არ მოუნდებოდა ახალგაზდა სვანებს, რადგან იმათზე ისეთივე წარმოდგენა მქონდა, როგორც სხვა მთიულ ჯან-საღ და ჯან-მრთელ ხალხზე. ამას მიმოწმებდა თითონ სვანეთის მშვენიერი, აუწერელი და ყოვლად შემკობილი ჰაერი და ბუნება. მაგრამ ძლიერ მოვტყუვდი. რას ვიფიქრებდი, თუ ამდენ ავადმყოფს და უვარგის კაცს შეხვდებოდი აქ. ას ოც კაცში თვრამეტის მეტი ვერ ვიპოვნეთ ჯან-საღი და სამსახურისთვის გამოსადეგი.*) ოც-და ერთ აგვისტოს, როცა ჯარში ჩარიცხულთ ფიცი მიიღეს, იქვე ერთბაშად მუხლი მოიყარეს და ტირილით შესთხოვეს მარშალს, გთხოვთ უმორჩილესად, ნუ დაიდებენ ჩვენს ცოდვას და რუსეთში ნუ გაგვგზავნიან სამსახურშიო. ოღონდ კი კავკასიაში დაგვტოვონ და ერთი ორად ვიმსახურებთო. მარშალმა უპასუხა, აღძრულია შუამდგომლობა და იმედია, რომ არავის გაჰგზავნიანო. იმედით გახარებული სვანები დაიშალნენ და სიმღერით გაუდგნენ თავიანთ გზას.

ბეჩო, სადაც მოხდა ახალგაზდა სვანების ჯარში მიღება, მეტად უხეირო სოფელია, სამი ძველი და დამპალი სახლი შეადგენს მთელს ბეჩოს. ერთ სახლში, სადაც მოთავსებულია სასამართლო (მოსამართლე ზაფხულობით იგზავნება აქ), ჩვენ ვმუშაობდით. ამ დამპალ სახლს არ აქვს არც ფანჯრები და არც კარები. სიცივისაგან სული გვძვრებოდა, ფანჯრებზე ნაბდებს ვაფარებდით, მაგრამ რას გვიშველიდა. ოთახში 7—8% სითბო იყო. ცეცხლის დანთებაც არ შეიძლებოდა, რადგან ბუხარი არ იყო. ჩვენზე ნაკლებ მდგომარეობაში არც ხალხი იყო, რომელიც ფარღალალა კარვებში მოთავსდა. 18 აგვისტოდან დაწყებული ოცამდის განუწყვეტლად სწვიმდა. ოცს დილიდან წამოვიდა დიდი თოვლი. შუადღემდი მეოთხედ არშინზე მეტი მოსთოვა. ლატბარის მთაზე ოცდა ორში არშინზე მეტი თოვლი იდვა, ასე რომ გადმოსვლა ძლიერ გაგვიჭირდა. უდროვოდ მოსულმა თოვლმა ძლიერ დააზარალა ნათესები. ბევრგან ქერი ისე ლურჯად მოუმკელი მოიტანა ქვეშ. მეტად დაზარალებულია კალას საზოგადოება. ჯერ კარგ მოსავლიან წელიწადში არ მოსდით თურმე მოსავალი და წელს სეტყვას გაუნადგურებია ყველაფერი, ხოლო რაც იმას გადარჩა, თოვლს მოჰყვა ქვეშ. ძლიერ დიდი შიმშილი მოელის ამ საზოგადოებას. მაზრის უფროსმა უკვე გაუგზავნა მოხსენება ქუთაისის გუბერნატორს და სთხოვა შემწეობის აღმოჩენა. ეს სოფელი ზემო სვანეთშია ლატბარის მთის გადაღმა, და უჭირავს ძლიერ მაღლობი ადგილი. ამ საზოგადოებას თავს დასცქერის რამდენიმე ყინულიანი მთა.

როცა შინ მოვდიოდით, ამ სოფლის კანცელარიასთან ვნახე რამდენიმე სვანი და ვკითხე, რატომ არ გადასახლდებით სადმე მეთქი. ამაზე ერთ ხმად მომიგეს: აი, ბატონო ეს ერთი კვირაა, რაც აფხაზეთში გახლდით და იქიდან დავბრუნდითო. გვითხრეს, იქ იძლევიან მიწასაო. გზაზე ტყვილად დავიხარჯენით და ამის მეტი პასუხიც კი არავინ გაგვცა: „თქვენთვის აქ არ არის ადგილიო“.

პოდპორუჩიკი ა. აბესაძე

საზოგადოების საყურადღებოდ

წარსულ 1902 წლის ნოემბრის პირველ რიცხვებში ტფილისის მეორე ღამის თავშესაფარში მოვიდა ღამის გასათევად 17-18 წლის ყმაწვილი კაცი, სვიმონ ჭანუყვაძე. დაგლეჯილ, ჭუჭყიან ტანისამოსში, თითქმის ფეხშიშველი ახალგაზდა მოგაგონებდათ იმათ ამხანაგს, რომელთაც რუსები „ბოსიაკებს“ ეძახიან. სახის გამომეტყველება და სიმკვირცხლე-კი სულ სხვა შთაბეჭდილებას ახდენდა. ყმაწვილს გამოვკითხე ვინაობა და აღმოჩნდა, რომ სიმონ ჭანუყვაძეს, ეროვნებით ქართველს (გურულს), სწავლა დაემთავრებინა ორ-კლასიან სასწავლებელში, შემდეგ შეესწავლა ბუხჰალტერია და ბათომში სამსახურში შესულიყო. მაგრამ დიდხანს არ დარჩენილა მოხელედ, იგი ბუნებას სხვა ნიჭით დაუჯილდოვებია და ყმაწვილი კაცი ამ ნიჭის განვითარების გზას დასდგომოდა. პირველ ხანებში მშობლებისა და ნათესავების ფარულად ანდომებდა დროს მხატვრობის შესწავლას, შემდეგ კი გამოუტყდა შინაურებს, რომ მწყურიან სამხატვრო სასწავლებელში შესვლაო. როცა შეიტყო ტფილისში სამხატვრო სასწავლებლის დაარსება, სულაც დაანება სამსახურს თავი და გამოეშურა ტფილისისაკენ. ყმაწვილ კაცს წრფელის წადილისა და ნიჭის მეტი არაფერი მოეპოვებოდა. ამიტომ მესამე თვეზე უკიდურესმა გაჭირვებამ სასწავლებლის მაგივრად მოანახვინა ღამის თავ-შესაფარი.

აი, თითქმის მთელი წელიწადი გაატარა სვიმონ ჭანუყვაძემ ღამის-თავშესაფარში, ბევრი მწარე დღე ნახა წლის განმავლობაში, ბევრი დღე დაალამა მშიერ-მწყურვალმა. უქონლობას თან ერთვოდა სულიერი ტანჯვა; მძიმე ავადმყოფობაც გამოიარა ყმაწვილმა კაცმა თავ-შესაფარში ყოფნის დროს. ეს ყოველივე აუტანელად ხდიდა იმის ცხოვრებას. ხშირად დამაფიქრებდა ხოლმე მისი უმწეო მდგომარეობა, მაგრამ შველა ვერსად მომეხერხებინა. იქნება ცხოვრების შეუბრალებელ და მკაცრ კანონებს ყმაწვილი კაცი სულაც ემსხვერპლათ, რომ ისევ თავის ნიჭს არ ეშველა იმისთვის. სვიმონ ჭანუყვაძე უკიდურეს მდგომარეობაშიაც კი არ ივიწყებდა ხატვას. მუდამ კარანდაში ეჭირა ხელში და რაც მოჰხვდებოდა, ჰხატავდა. ბოლოს, ეტყობა, მოსწყენოდა ქაღალდზე ხატვა და ნებადაურთველად შესდგომოდა თავშესაფარის ერთს თეთრ კედელზედ სურათის დახატვას. იმის სურვილისათვის ხელი შეეწყოთ ამხანაგებსაც და არავინ არაფერი მითხრა, ვიდრე სურათი სრულიად არ დაემთავრებინა. სურათი მშვენიერი იყო. თუმცა ვუსაყვედურე ჭანუყვაძეს დაუკითხავად დახატვა, მაინც აღარ წავაშლევინე. სურათი წარმოადგენს გურულის ნადირობას, შორს, ღობეს იქით მოსჩანს ფაცხა, ღობეს აქეთ რამდენიმე დიდი ხეა დახატული, შემდეგ მოსჩანს ხშირი ტყე; ტყის პირას, ორ ალაგას ჰგდია ორი მოჭრილი და გამოხრული დიდი ხე, იქვე სჩანს ამოუყრელი კუნძები. ტყის პირად რამდენიმე გარეული ღორი შემოუბრუნებიათ მინდვრისაკენ ძაღლებს და მონადირე მეორე მხრიდან მიზანში იღებს სასროლად.

ყმაწვილ კაცის ბედზე, იმ ხანებში ქალაქის ახალი მოურავი თავადი არღუთინსკი-დოლგორუკოვი ათვალიერებდა ქალაქის სხვა-და-სხვა დაწესებულებებს. სხვათა შორის, დაათვალიერა მეორე ღამის თავ-შესაფარიც. კედელზე დახატული სურათი ძალიან მოეწონა ქალაქის მოურავს და მოისურვა ჭანუყვაძის ნახვა. იმ დროს სვიმონ ჭანუყვაძე იქვე მახლობლად ფეხ-შიშველა, დამკლავებული სწურავდა წყლით გაჟღენთილ ტილოს და იატაკის გასაწმენდად ემზადებოდა. ქალაქის მოურავმა მაშინვე გადმომცა ფული, რომ ჭანუყვაძისათვის ტანისამოსი შეეყიდნა და სთხოვა ყმაწვილს ქალაქის გამგეობაში მასთან მისვლა. ამ დღიდან სიმონ ჭანუყვაძეს სანატრელი დღე დაუდგა. თავად არღუთინსკი-დოლგორუკოვმა თავის ხარჯზე დაუქირავა მასწავლებელი, რომ ჭანუყვაძე სამხატვრო სასწავლებელში მოემზადებინა, უზრუნველ-ჰყო სმა-ჭამით და დაჰპირდა შემდეგშიაც შველას. ოთხი თვე სვიმონ ჭანუყვაძე თავად არღუთინსკი-დოლგორუკოვის ხარჯზე სწავლობდა. ყმაწვილი მოემზადა და ეხლა ტფილისის სამხატვრო სასწავლებელში ეგზამენი დაიჭირა. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა პირველ ხანებში ტანისამოსისა და წიგნების ფული მისცა და ამ გვარად გზაზე დააყენა ნიჭის მქონე „ახალ-გაზრდა. კაცი მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია ჭანუყვაძის ასპარეზისა. იმას დასჭირდება რამდენიმე წელიწადი ტფილისში სწავლა და შემდეგ რუსეთშიაც და ამისათვის-კი არავითარი სახსარი არ აქვს. ჩემ ზნეობრივ მოვალეობად ვსთვლიდი ყოველივე ეს მეცნობებინა ქართველ საზოგადოებისათვის. შეიძლება გამოჩნდეს ისეთი კაცი ან საზოგადოება ჩვენში, რომელმაც მოისურვოს ყმაწვილ კაცის შველა, კაცთ-მოყვარე ქველ-მოქმედმა ყმაწვილი კაცი ფეხზე წა-

---

*) შარშან რაჭაში, სადაც მე დავესწარი კომისიაში, განცვიფრებული დავრჩი რაჭველების ჯანმრთელობით: ას კაცში ხუთსაც ვერ ვპოულობდი უვარგისს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოაყენა და ეხლა იმის უზრუნველ-ყოფა ქართველ საზოგადოების მოვალეობაა.

ღამის თავ-შესაფარის გამგე
მ. კლდიაშვილი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 სექტემბერი

სმოლენსკი. გაიხსნა ადგილობრივ სამეურნეო საზოგადოების მიერ მოწყობილი გამოფენა ბაღოსნობის ნაწარმოებისა.

ევპატორია. გაიხსნა საქონლის მოშენების გამოფენა.

ვარშავა. სრულიად რუსეთის გამოფენაზე ხარკოვში იგზავნება ამ დღეებში 200 სულ კარგის ჯიშის საქონლისა ვარშავის, სედლეცკისა და ლიუბლინის გუბერნიებიდან.

სამარა. შინაგან საქმეთა მინისტრი უფას წავიდა.

რიაჟსკი. თავდება შინა მრეწველობისა და საქონლის მოვლა-მოშენების გამოფენა.

ყაზანი. გაიხსნა საქონლის მოშენების გამოფენა.

სიდლეცი. გაიხსნა სახელოსნო სასწავლებელი, პირველი ამ მხარეში.

პორტ-არტური. ნამესტნიკის ბრძანებით, 10 სექტემბერს მოწვეულ იქნება კომისია, რომელმაც უნდა შეადგინოს პროექტი შორეულ აღმოსავლეთის ოლქების მართვა-გამგეობისა.

პორტ-არტური. ტელეგრაფის მავთული პორტ-არტურსა და ჩიფუს შუა გაიბა. განახლდა რკინის გზების მუშაობაც.

გაგრა. მცენარეულობის გამოფენა დაიწყება 19 სექტემბერს.

სტამბოლი. ამ ჟამად რუსეთისა და ავსტრ-ჰუნგრეთის ელჩებს თათბირი აქვთ მაკედონიაში შემოსაღებ რეფორმების გაფართოების შესახებ. აუდიენციის დროს, რომელიც დაენიშნა რუსეთის ელჩს ზინოვიევს, დაწვრილებით განიხილეს საკითხი მაკედონელთა მოძრაობის შესახებ. სულთანმა კმაყოფილება გამოაცხადა იმის გამო, რომ დიდნი სახელმწიფონი დამშვიდებით შესცქერიან მაკედონიის მოძრაობას. ზინოვიევმა ურჩია სულთანს, ამბოხების მოსპობის დროს ნუ იქნება ჩადენილი ისეთი მხეცობა, როგორიც ოსმალთ ჩაიდინეს კრუშევოს დაპყრობის დროსაო. სულთანმა უპასუხა, ამის გამო კიდევ გავეცი ბრძანებაო. გარდა ამისა სულთანმა განაცხადა, რომ ორი მესამედი იმ ადგილებისა, სადაც აჯანყებაა, უკვე თავისუფალია მეამბოხეთაგან; დანარჩენ ადგილებსაც მალე გავანთავისუფლებთო.

ჩერნოგორიის გარეშე საქმეთა მინისტრმა აღნიშნა ის დაბრკოლებანი, რომელნიც აღმოუჩინეს ოსმალელებმა ჩერნოგორიის მოხელეთ ბოიანში, და ითხოვა კომისარის დანიშვნა, რომელმაც ჩერნოგორიის მთავრობასთან ერთად უნდა განიხილოს საზღვარზე ატეხილი დავა. სულთანი თანახმა გახდა და ამასთანავე მადლობა შეუთვალა მთავარს ნიკოლოოზს მშვიდობიანობის მტკიცედ დაცვისათვის.

ოსმალეთის ჩივილზე, რომ სერბიიდან ოსმალეთში მეამბოხეთა ბრბოები მოდიან, სერბიის ელჩმა გრუიჩმა განაცხადა, რომ სერბიის საზღვარზე არც ერთს ბრბოს არ გაუვლია ოსმალეთისაკენ.

ბელგრადი. ბელგრადის ჯარის ოფიცრებისათვის გამართულს სადილზე მეფე პეტრემ სთქვა: „მთელის სერბიის ერი ამ მძიმე დროში იმედით შესცქერის თავის ჯარს; ერი სრულს ნდობას უცხადებს მხედრობას და მე, როგორც მისი უფროსი, ბედნიერად ვრაცხ ჩემ თავს, რომ შემიძლიან განვაცხადო—ჯარში არავითარი უთანხმოება არ ჰსუფევს“.

ბელგრადი. 22 ოფიცერი, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს წინანდელს შეთქმულობაში, პროვინციიდან ბელგრადში გადაიყვანეს; ამ რიგად ბელგრადის გარნიზონში შეგროვილ იქნებიან ყველა ის ოფიცრები, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს მეფე ალექსანდრეს მოკვლაში.

ბუდაპეშტი. დეპუტატთა პალატა 11 სექტემბერს იქნება მოწვეული. სტუდენტები სასაფლაოზე წავიდნენ და კოშუტის სამარე გვირგვინით შეამკეს. სტუდენტების მეთაურმა სიტყვა წარმოსთქვა ძლიერ მკაცრად გაჰკიცხა სამხედრო მინისტრის განკარგულება და მეფეს კონსტიტუციონალურ მტარვალის სახელი უწოდა. ამის შემდეგ ორატორმა განკარგულების ოფიციალური გამოცემა დახია; სტუდენტებმა ძლიერი ტაშის ცემა ასტეხეს.

ვენა. გრაფი ბიულოვი ხანგრძლივ ესაუბრა იტალიის ელჩს. გერმანიის იმპერატორმა გრაფი გოლუხოვსკი მიიღო განსაკუთრებულ აუდიენციაში. საღამოს 8 საათზე ორივ მეფე გერმანიის ელჩს გრაფ ვედელს ეწვივნენ სადილად.

ნიუ-იორკი. სანტ-იაგოში მიწის ძვრა მოხდა; ამისთანა ძლიერი მიწის-ძვრა 1885 წელს აქეთ არა ყოფილა; 15 წუთს გასტანა, რამდენიმე კედელი დაინგრა.

ვაშინგტონი. ამბობენ, ამერიკის ელჩს ყოველი იმედი დაეკარგა, რომ კოლუმბიამ პანამის არხის თაობაზე ხელ-შეკრულობა დაამტკიცოსო.

ლონდონი. შოტლანდიის საქმეთა მინისტრის ლორდ ბალფურ-ბერლეი და ფინანსთა სამინისტროს მდივანი ელიოტი სამსახურიდან გადადგნენ.

ბრიუსელი. სავაჭრო და სახელოსნო საქმეთა მოსამსახურეების საერთაშორისო კონგრესზე ყველა საკითხს ოთხი კომისია არჩევს და საზოგადო კრებას მოხსენებას უდგენს. საკითხების განაწილება ამნაირია: შრომის პირობა, მფარველობითი კანონმდებლობა, პროფესიონალური, ტეხნიკური და კომერციული განათლება; შეგირდობა და წარმომადგენელთა ყოლა ეხლანდელ და მომავალ დაწესებულებებში.

ვენა. გერმანიის იმპერატორი დანციგს წავიდა. ავსტრიის იმპერატორმა ვაგზლამდე გააცილა.

პეტერბურგი. „ფინლანდიის გაზეთ“-ში უმაღლესი ბრძანებაა დაბეჭდილი. ამ ბრძანების ძალით გენერალ-გუბერნატორს ნება ეძლევა, 1904 წლის 10 ივნისამდე საბოლოოდ გადასწყვიტოს, თუ როდის უნდა გაიხსნას 1904 წლის მორიგი სეიმი, ისე-კი, რომ სეიმის გახსნა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ფინლანდიის ხალხი დაწყნარებული იქნება.

ბერლინი. „ფრანკფურტერ ცაიტუნგ“-ი იუწყება, ბორის სარაფოვი მონასტირთან მოჰკლეს და იმისი თავი მონასტირში მიიტანესო. ეს ცნობა სხვას არავის შეუმოწმებია.

9 სექტემბერი.

პეტერბურგი. სახელმწიფო ბანკის საბჭოს წევრს ტიმაშევს უმაღლესად ებრძანა იყოს სახელმწიფო ბანკის მმართველად.—პლოცკის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს ნეიდგარდს უმაღლესად ებრძანა იყოს ადესის გრადონაჩალნიკის თანამდებობის აღმასრულებლად.

სტამბოლი. ხმა არის, რომ სოფელი რაკიკა კირკ-კილისეს ახლო ოსმალელებმა და ბაში-ბუზუკებმა დაანგრიეს. დიდძალი ხალხი მოკლულია. ოსმალელები-კი ბოროტ-მოქმედებას თვით აჯანყებულთ აბრალებენ. დანგრეულია აგრეთვე სოფელი რომბელლი. კეპრელიუს ბაზარზე სალდათებმა მოჰკლეს ორი წარჩინებული ბოლგარელი, სხვებიც დაჭრილია. დამნაშავენი შეიპყრეს.—ამბავი მე-4, მე-5 და მე-6 კორპუსების შესახებ ერზინგიანსა, დამასკსა და ბაღდადში—მართალი არ არის.—ბულგარიიდან ფქვილისა და ხორბლის შემოტანის აღკრძალვა დიდ აშფოთებას იწვევს. მარტო ვარნიდან ყოველ თვე შემოჰქონდათ 80,000 კილოგრამი ფქვილი.

სოფია. ოსმალეთი დარწმუნებულია, რომ ბოლგარიის კაბინეთს გულ-წრფელად სურს კონფლიქტი თავიდან აიცილონ და როგორმე მორიგდნენ „modus vivendi“-ს შესახებ. პორტა და სულთანი აპირობენ ჯარებს სასტიკი ბძანება მისცენ, რომ მათ არ დაჰხოცონ უიარაღო მცხოვრებნი ამბოხებულ ოლქებში და ამასთანავე ადგილობრივი ავტონომიის მაგვარი რაიმე დააარსონ, მაგალითად კომისიები, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ ოსმალნი, მაკედონელნი, ბოლგარები, ბერძნები და ვლახები. გეგმა, რომელიც ჯერ მხოლოდ განვითარების პირველ სტადიაზე, ეხება ხარჯის აკრეფის წეს-რიგის სრულ რეფორმას.

სტოკჰოლმი. ოკონინგში, მოტალში, ვადსტენში და ესტერ-გოტლანდის პროვინციაში მიწის-ძვრა იყო.

ლონდონი. ჩემბერლენი სახაზინოს კანცლერად დაინიშნა, ლორდი სელბორნი—კოლონიათა მინისტრად, არნოლდ ფორსტერი—სამხედრო მინისტრად და ბროდრიკი—ინდოეთის სტატს-სეკრეტრად.

დანციგი. იმპერატორის თანადასწრებით გაიხსნა იმპერატორ ვილჰელმ I-ის ძეგლი.

სოფია. სამხედრო სამინისტრომ გამოიხმო საზღვარ გარედ მყოფი ოფიცრები. საზღვარს ახლო, კოტოგანის მიდამოებში ომი მოხდა.

ვენა. გერმანიის იმპერტორი სადარბაზოდ იყო გრაფ გოლუხოვსკისთან და განსაკუთრებულ აუდიენციაზე მიიღო გარეშე საქმეთა მინისტრი გრაფი გოლუხოვსკი და გერმანიის ელჩი გრაფი ვედელი.

ბერნი. ჰაერში მოცურავი სპელტერინი ცერმატედში აფრინდა 6 სექტემბერს ორი ამხანაგით, გადაიარა ალპები და მშვიდობით დაეშვა გინიასკოში, ტესსინის კანტონში.

ტანჟერი. სულთანის ჯარმა ძლიერ დაამარცხა ტახტის მაძიებლის ჯარი.

კარაკასი. სახელმწიფოებმა ვენეცუელის მართებლობას წარუდგინეს თავისი მოთხოვნილება: დანარჩენ 44.599,560 დოლლარზე.

კილი. ერცჰერცოგი ფრანც-ფერდინანდი იმპერატორმა გერმანიის ფლოტში ჩარიცხა.

სტამბოლი. მსოფლიო პატრიარქმა დიპლომატიურ მისსიებს წარუდგინა პროტესტი ბოლგართაგან გავრცელებულ ბრალდების წინააღმდეგ, ვითომ საბერძნეთის სამღვდელოებას ძალით გადაჰყავს მსოფლიო პატრიარქის ბრძანებლობის ქვეშ ის პირნი, რომელნიც ბოლგარიის მღვდელთ-მთავარს ექვემდებარებიან. მაკედონიას ვერავინ ვერ გადააქცევს სლავიანთა ქვეყნად, თუ მცხოვრებთა ორი მესამედი არ დაჰხოცა, რომელნიც ბერძნებისა და ოსმალებისაგან შესდგებიან. შემდეგ გამოთქმულია პროტესტი მეამბოხეთა სიმხეცის წინააღმდეგ ბერძენთა მიმართ.

სოფია. კერძო ცნობებით კრესკის ხევში და სტრუმის ხეობაში მომხდარ ომში 500 ოსმალო მოიკლა დინამიტის აფეთქებით.

ბელგრადი. სკუპშჩინაში არჩევნები საღამომდის მშვიდობიანად მიდიოდა. ზომიერ რადიკალთა საქმე საიმედოა. „ნაროდნი ლისტ“-ში გამოქვეყნებულია ნიშის შეთქმულობის მოთავის პოლკოვნიკის ნოვაკოვიჩის დასაცველი სტატია; წერილში ნათქვამია, რომ მას, როგორც ოფიცერს, მოვალეობად ედვა თავის ამხანაგების წინააღმდეგ გამოსვლა, რომელთაც ოფიცრების მუნდირში თავისი მეფე მოჰკლეს; მით უმეტეს, რომ იმათ ამ მეფის წინაშე ფიცი ჰქონდათ მიცემული.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

კურსები
ბუხჰალტერიისა, საკომერციო არითმეტიკისა და სავაჭრო უფლებისა ტფილისის საკომერციო სასწავლებელთან.
(წელიწადი მეოთხე).

სწავლა დაიწყება 2 ოქტომბერს. კურსი გაგრძელდება არა ნაკლებ 6 თვისა. სწავლა საღამოობით იქნება, სამჯერ კვირაში. ყურის მგდებლად შეუძლიანთ იყვნენ წერა-კითხვის მცოდნენი ორისავე სქესისა.

თხოვნები საკომერციო სასწავლებლის დირექტორის სახელზე მიიღება ყოველ დღე, დილის 10-დან ნაშუადღევის 2 საათამდე, სასწავლებლის კანცელარიაში (ჩუღურეთი, რიყის ქუჩა, საკუთ. სახ. № 11).
(10—10)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,
რომელიც იმყოფება მათის უმაღლ. [illegible] პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, ქალთა და თვალით ავადმყოფთათვის, მშვენიერი განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.
(0—222)

პ. ი. ავსარქისოვის
ბაღში
იყიდება ხეხილები როგორც საზღვარგარეთისა, ისე აქაუ ჯიშისა. ფასები შემდეგია: ერთის წლის ხე—20 კაპ., ასი ცალი—15 მანეთი; ორი წლის ხე—35 კაპ., ასი ცალი—25 მან. ადრესი: უბრალო წერილებისთვის—სადგური სკრა ამიერ-კავ. რკინის გზა, ფულისა და დაზღვეულ წერილებისთვის—გორი, პ. ი. ავსარქისოვს. კატალოგები მსურველთ უსასყიდლოდ გაეგზავნებათ.
(10—143—3)

კბილები
და მათი მოვლა-შენახვა
საჯარო ლექციები სამხედრო-სამკურნალო აკადემიის პრივატ-დოცენტის პ. თ. ფედოროვისა, თარგმანი კბილის ექიმის ი. პ. ახალშენიშვილისა. ტექსტს 7 ნახატი აქვს დართული. გამოცემა კ. ჯ—სა. ფასი 40 კაპ.
იყიდება:
ქართვ. წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, მთარგმნელთანა და „ქართველთა შორის წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში
(5—5.—4)

ცინკოგრაფია
წიგნ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა
ბანკის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 37ა.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდამ.

ფინანსთა სამინისტროს მიერ ნება დართული
საბუხჰალტერო კურსები
ნ. ფ. აბრამიანისა
ტფილისში

აბრამიანი ავტორია „სავაჭრო, საფაბრიკო და სანავთის მრეწველო ბუხჰალტერიის სახელმძღვანელოსი“. სახელმძღვანელო მოწონებულია ფინანსთა სამინისტროს სამოსწავლო ნაწილის მიერ.

კურსებზე ასწავლიან და ამზადებენ პრაქტიკით ორსავე სქესის მსურველთ $4^{1}/_{2}$ თვეში.

სასწავლო საგნები:

1. ბუხჰალტერია ორმაგი, იტალიანურ სისტემისა, მრეწველობის ყველა დარგისთვის გამოსაყენებელი, საბანკო, სავაჭრო, საკომისიო, საქარხნო და სხვა. 2. საკომერციო არითმეტიკა. 3. საკომერციო კორესპონდენცია. 4. სავექსილო წესდება და სავაჭრო უფლება. 5. კალლიგრაფია და ცუდის ხელის გასწორება. 6 არითმეტიკა საანგარიშებლებზე. 7. „რემინგტონის“ საწერ მანქანაზე მუშაობა (სურვილისამებრ).

მასწავლებლებად მოწვეულნი არიან უნივერსიტეტში სწავლა დამთავრებულნი და საქმის სპეციალურად მცოდნენი, რომელთაც ფინანსთა სამინისტროს სამოსწავლო ნაწილი ამტკიცებს. კალიგრაფიის მასწავლებლად მოწვეულია კალიგრაფ მხატვარი.

მიღება ყოველ დღე 5-დან 7 საათამდე. მეცადინეობა დაიწყება 1903 წლ. 15 სექტემბერს, პერიოდულად ყოველ $4^{1}/_{2}$ თვის შემდეგ, ყოველ დღე სადილთ უკან. ფასი 60 მანეთი მთელის კურსისა. გათავების შემდეგ ეძლევა ატესტატი, ნება დართული ბ-ნ ფინანსთა მინისტრის მიერ. მსურველმა უნდა მიჰმართოს წერილით ან პირადათ კურსების დამაარსებელს ტფილისში: ნიკოლოზის ქუჩა, 46, ტელეფონი 744. წესები და პროგრამა მსურველს უფასოდ ეგზავნება. ზემოხსენებული სახელმძღვანელო იყიდება რუსეთის ყველა წიგნის მაღაზიებში. ვინც ავტორისაგან გამოიწერს, ფასდადებულს არ იხდის. ცალი წიგნი ღირს 3 მან. 50 კაპ.
(10—5)

Дозв. ценз. Тифлисъ 9 Сентября, 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)